დანართი 1

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი", ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" (შემდგომში - ღონისძიება) განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ღონისძიების ფარგლებში კონკურსანტთა მიღება - შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით.

3. ღონისძიებას ატარებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - კომისია).

4. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს - 3000 ლარს/თითოეულ პროექტზე. ამასთან, განაცხადები მიიღება ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა, შეზღუდული არაა).

მუხლი 2. მიზანი

1. ღონისძიების მიზანია განათლების, კულტურის, სპორტისა (არაპროფესიული) და ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, არსებული პოტენციალის სრული რეალიზება და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობების გაფართოება.

2. ღონისძიება ითვალისწინებს ახალგაზრდული მიმართულებით ინიცირებული საუკეთესო პროექტების გამოვლენას და ავტორთა/ბენეფიციართა შერჩევას შემდეგი მიმართულებებით:

- **2.1** განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა / მხარდაჭერა / წახალისება / სტიმულირება;
- **2.2** სპორტი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პოპულარიზაცია;
- **2.3** ახალგაზრდობის სფერო (ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით);
- **2.4** სოციალური მეწარმეობის (ახალგაზრდა მეწარმეთა) ხელშეწყობა (სოციალურად დაუცველთა, შშმ პირთა, უსინათლოთა დასაქმება, ახალგაზრდა გამომგონებელთა ხელშეწყობა);
- **2.5** ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მ.შ. სპორტული ტურიზმი (ფეხით მოგზაურობა, საწყლოსნო (ტივი, ნავი, კანოე, კაიაკი, ბაიდარი, ჯომარდობა), სამთო-სათხილამურო, ველოსიპედით, ასევე, აგროტურიზმი, ბიზნესტურიზმი (მ.შ. ტურისტული ბიზნეს ფორუმი), გამოფენა - გაყიდვები (ხალხური რეწვის ნაწარმის, ხელნაკეთი ნივთების და სხვა);
- **2.6** ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების წახალისება (პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა, ახალგაზრდა მეცნიერები, ეკოლოგია და გარემოს დაცვა და ა.შ.);

2.7 და სხვა პროექტები (საზოგადოებრივ, კულტურულ - საგანმანათლებლო და პოლიტიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის შესაძლებლობების წახალისება, სტიმულირება, ხელშეწყობა და მხარდაჭერა).

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას 14-დან 29 წლის ჩათვლით (შემდგომში - კონკურსანტი), თუ ის აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.1 შევსებული განაცხადი და სააპლიკაციო ფორმა (დანართი 2);

2.2 სარეკომენდაციო წერილი;

2.3 ავტობიოგრაფია / CV;

2.4 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის - მოწმობის ასლი;

2.5 ცნობა რეგისტრაციის (საცხოვრებელი ადგილის) შესახებ ან დასურათებული მტკიცება - ე.წ. „სკრინშოტი“, სამოქალაქო რეესტრის ვებგვერდიდან (თარიღის წარმოჩენით), მისი რეგისტრაციის - საცხოვრებელი ადგილის/მისამართის მითითებით;

2.6 თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში (ნებისმიერი სახით - მატერიალური თუ არამატერიალური), დამადასტურებელი საბუთი;

2.7 თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, კანონიერი წარმომადგენლის (დედის ან მამის) პირადობის მოწმობის ასლი და განმცხადებლის დაბადების მოწმობის ასლი.

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დ ოკუმენტაცია.

4. მერია უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე, კონკურსიდან მოხსნას კონკურსანტი, რომლის მიზნები არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

5. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:

1.1 დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;

1.2 დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.

2. კონკურსანტი ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადით მიმართავს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებას (მის: ქ.ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25; 09:00 საათიდან - 18:00 საათამდე) და განცხადებასთან ერთად წარადგენს საჭირო დოკუმენტაციას (მუხლი 3).

3. კონკურსანტის მიერ შემოტანილი განაცხადი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით გადაეცემა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

4. განყოფილება:

4.1 შეისწავლის კონკურსანტის განაცხადს და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა

რეესტრში;

4.2 თუ კონკურსანტის მიერ წარდგენილი საბუთები შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს (მუხლი 3), დოკუმენტაცია წარედგინება კომისიის წევრებს;

4.3 არასრული დოკუმენტაციის / მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, კონკურსანტს წერილობით ეცნობება აღნიშნულის შესახებ (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი). ასევე, განხორციელდება კომუნიკაცია, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (სწრაფი რეაგირების მიზნით, ელფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით (წერილის გადაგზავნით)), რათა ოპერატიულად მოახდინოს დოკუმენტაციის მოწესრიგება 5 სამუშაო დღის ვადაში;

4.4 ამზადებს მოხსენებითი ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

5. მეორე ეტაპი ითვალისწინებს ინიცირებული პროექტების განხილვას კომისიური წესით. მათ შორის კომისიის სხდომაზე, აპლიკანტის/ავტორის მიერ, თავის პროექტის წარდგენას (პრეზენტაციის სახით 5-7 წთ.).

მუხლი 5. განაცხადების მიღებისა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან - ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით.

2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს განაცხადების მიღების თვიდან, შემდგომი თვის დასაწყისში - 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. კონკურსის შედეგები კონკურსანტს ეცნობება, განაცხადის მიღების ვადის ამოწურვიდან 20 სამუშაო დღის ვადაში.

4. კონკურსში გამარჯვებულ პირს (შემდგომში - ბენეფიციარი) მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ეცნობება როგორც წერილობით, ასევე, განაცხადში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით (ელ-ფოსტით ან/და მობილურ ტელეფონზე SMS შეტყობინების სახით (წერილის გადაგზავნის თაობაზე)).

5. განაცხადების მიღება იწარმოებს ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე, ბენეფციართა რაოდენობა შეზღუდული არაა.

მუხლი 6. სამუშაო ჯგუფის - კომისიის უფლებამოსილებები

1. **კომისია:**

1.1 კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აღნიშნული დებულებით;

1.2 კომისიის წევრთა რაოდენობა და სიითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

1.3 კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.4 კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

1.5 კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად მერს აქვს უფლება არ გაითვალისწინოს კომისიის სარეკომენდაციო დასკვნა;

1.6 კომისია შეიმუშავებს და ამზადებს წინადადებებს;

1.7 კომისია ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომელთა განაცხადები არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის

თაობაზე;

1.8 კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც;

1.9 კომისია განიხილავს კონკურსანტების განაცხადებს (საკონკურსო დოკუმენტაციას), აკეთებს შეფასებებს, გამოავლენს საუკეთესო შედეგების მქონე ბენეფიციარებს და გასცემს რეკომენდაციებს დაფინანსების შესახებ;

2. **კომისიის თავმჯდომარე:**

2.1 წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

2.2 კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს ინფორმაციას განხილვის შედეგების შესახებ, თითოეულ ინიცირებულ პროექტზე საბოლოო - ჯამურ ქულათა მითითებით და კომისიის რეკომენადაციას ბენეფიციარებს დაფინანსების შესახებ.

3. **კომისიის მდივანი:**

3.1 ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას (წინასწარ შემუშავებული ცხრილის მიხედვით), ასევე, დაინტერესებული პირების / პრეტენდენთა დოკუმენტაციის შესწავლას/მოკვლევას, საოქმო ჩანაწერების უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრების ორგანიზებას და სხვა ორგანიზაციული საკითხების აღსრულებას;

3.2 კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს რეკომენადაციის პროექტს;

3.3 აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;

3.4 კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, მდივანს შეუძლია მოიწვიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები, ამასთან, ისინი კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობენ;

3.5 კომისიის წევრი - შეისწავლის და კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს თავის მოსაზრებებს, ახდენს პროექტების შეფასებას.

4. კომისიის მიერ ბენეფიციარის დაფინანსების შესახებ რეკომენდირების შემთხვევაში, სამსახური ამზადებს:

4.1 მერის ბრძანების პროექტს ბენეფიციარის დაფინანსების თაობაზე;

4.2 ბენეფიციართან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს (შემდგომში მერიის ადმინისტრაციისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან შეთანხმების მიზნით).

მუხლი 7. შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტთა შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. პრიორიტეტულობა (მნიშვნელოვანია, აუცილებებლია, საჭიროა... სახელმწიფოებრივი, რეგიონალური, თვითმმართველობის თვალსაზრისით);

1.1 პრიორიტეტული - 8 -10 ქულა;

1.2 საშუალო - 5 - 7 ქულა;

1.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

2. აქტუალობა (რამდენად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რამდენად მნიშვნელოვანია პროექტის გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე და რამდენად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის რეალურ პრობლემების დაძლევას):

2.1 აქტუალური - 8 – 10 ქულა;

2.2 საშუალო - 5 - 7 ქულა;

2.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

3. ინოვაციურობა (ექსკლუზიურობა, კრეატიულობა, სიახლე, ნოვატორობა...):

3.1 მაღალ ინოვაციურია - 8 -10 ქულა;

3.2 საშუალოდ - 6 - 7 ქულა;

3.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

4. PR კომუნიკაცია (რეკლამირების ხარისხი, პოპულარიზაციის დონე, მასობრივი საშუალებებით გაშუქების და პიარტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა, გამოყენებული სოციალური ქსელების რეიტინგულობა და ა.შ., რაც უფრო ნაკლებია და არარეიტინგული დაგეგმილი PR კომპანია, მით უფრო ნაკლებია ქულა);

4.1 კომუნიკაციის მაღალი ხარისხი - 8 -10 ქულა;

4.2 საშუალოდ - 6 - 7 ქულა;

4.3 ნაკლებად - 5 ქულამდე.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.

2. დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწევა იმ პირებს (შემდგომში - ბენეფიციარი), რომლებიც მიიღებენ მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ **60 პროცენტს.**

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია. ამასთან, პრიორიტეტი მიენიჭება:

3.1 ექსკლუზიურ, ინოვაციურ, კრეატიულ, აქტუალურ და ანალიტიკურ პროექტებს.

3.2 თანადაფინანსების მქონე პროექტებს (რომელთაც გააჩნიათ უფრო მეტად საკუთარი სახსრებით დაფინანსება და ნაკლებად მერიიდან).

4. გადაწყვეტილების მიღება ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

5. ტექნიკური შესაძლებლობების არსებობისა და კომისიის თავმჯდომარის თანხმობით, პროცესის გამჭვირვალეობის, მოქალაქეთა მონაწილეობის, თანამშრომლობის და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაშვებია, შემოღებულ იქნეს ხმის მიცემის / გამოკითხვის ელექტრონული წესი. ამ შემთხვევაში, თითოეულ წარდგენილ პროექტზე, ელექტრონული გამოკითხვის წესით მიღებული შედეგები - საბოლოო პროცენტული მაჩვენებელი (თუ პროცენტებშია) გადაიყვანება იგივე, ოღონდ, რიცხობრივ მაჩვენებელში (მაგალითად 38%=38ქულას ან 41.5%=41.5ქულას), დაემატება კომისიის თითოეული წევრის მიერ, განხორციელებული შეფასების შედეგად დაგროვილი ქულების (თითოეულ პროექტზე) ჯამურ ქულას (როგორც ორწევრიანი განტოლება).

მუხლი 9. პროექტის ავტორთან/ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმება/დაფინანსება

1. კომისიის რეკომენდაცია, სხდომის ოქმის შედგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, წარედგინება მერს.

2. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გამოსცემს

ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის/ავტორის (შემდგომში - ბენეფიციარი) დაფინანსების თაობაზე.

3. ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე, ეცნობება ბენეფიციარს მერის ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. სამსახური, მერის ბრძანების გამოცემიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში ამზადებს ბენეფიციართან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს, რომელსაც საქმისწარმოების წესით (Edokument), მოხსენებითი ბარათის ფორმატში (ვიზირებაში: მერიის ადმინისტრაცია და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური), წარუდგენს მერს ან კურატორი მერის მოადგილე.

5. ბენეფიციარის დაფინანსების შესახებ, მერის მიერ ბრძანების გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სამსახურის მიერ ბენეფიციარს ეცნობება, რომ უნდა გამოცხადდეს ხელშეკრულების გასაფორმებლად.

6. ხელშეკრულება დაიდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და კონკურსში გამარჯვებულ ბენეფიციარს შორის.

მუხლი 10. ბენეფიციარის ვალდებულებანი

1. კონკურსის მონაწილე ვალდებულია, სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარმოადგინოს მოცემული დებულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2. ბენეფიაციარმა პროექტი უნდა განახორციელოს საანგარიშო წლის განმავლობაში.

3. კონკურსში გამარჯვებული ბენეფიციარი ვალდებულია, მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, 15 დღის ვადაში, წარმოადგინოს მის მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშები **(დანართების 3)** და გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მასალები (მათ შორის ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერი და სხვა), რომლის საფუძველზეც 7 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება..